უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №10

ქ.თბილისი

20.11.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირინა ხანთაძე - ა(ა)იპ-კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თინათინ ბრეგვაძე - ა(ა)იპ-ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, აკადემიური მხარდაჭერის პროგრამა, სამხრეთ კავკასიის რეგიონის ოფიცერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლიკა ქათამაძე - ა(ა)იპ-საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს მდივანი;
თამარ ზაალიშვილი - უმაღლესი განათლების ექსპერტი, შპს-აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი;
დავით აფრასიძე - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), სრული პროფესორი;
ნინო სოზაშვილი - სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
თამთა კობახიძე-ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;
ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
გიორგი მელიქაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
თამარ შენგელია - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ქეთევან ინანაშვილი - რეესტრის წარმოების სამმართველოს სპეციალისტი;
ნინო ბერელიძე-საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
სალომე წურწუმია - დავების სამმართველოს უფროსი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ზაზა აბულაძე - შპს საერთაშორისო აკადემიის წარმომადგენელი;
2. მედეა მჭედლიძე - შპს საერთაშორისო აკადემიის რექტორი;
3. ბორის მჭედლიძე - შპს საერთაშორისო აკადემიის კანცლერი;
4. ინგა მანაშერიძე - შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორი;
5.ნაზო წიბლიაშვილი - შპს ინტერბიზნესის აკადემიის ხარისხის სამსახურის უფროსი;
6. კონსტანტინე თოფურია - შპს საქართველოს უნივერსიტეტის კანცლერი;
7. სოსო გოგილიძე - შპს საქართველოს უნივერსიტეტის ვიცე-კანცლერი აკადემიურ დარგში;

8. დავით სივსივაძე - შპს საქართველოს უნივერსიტეტის ვიცე-კანცლერი იურიდიულ დარგში;
9. მარიამ ჯანჯარია - შპს საქართველოს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;
10. მარინა ფირცხალავა - შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის რექტორი;
11. მაკა ადვაძე - შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი;
12. თამარ სოზიაშვილი - შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი;
13. ლელა აფციაური - შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ხარისხის სამსახურის უფროსი;
14. ვაჟა ვარდიძე - შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
15. თამარ გვიანიშვილი - შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;
16. ვლადიმერ სახელაშვილი - შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის კანცლერი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ავტორიზაციის ექსპერტი):
კახაბერ ერაძე;
დავით ჭეიშვილი;
გიორგი რამიშვილი;
თამარ შუდრა.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 16:05 საათზე, შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს საერთაშორისო აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა წარმოდგენილი სახით ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს საერთაშორისო აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები საბჭოს წინაშე წარადგინეს დაწესებულებაში ვიზიტად მყოფმა ავტორიზაციის ექსპერტებმა, დავით ჭეიშვილმა, თამარ გვიანიშვილმა და ქეთევან ინანაშვილმა.

1. **საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:**

1.1 დაწესებულებამ წარმოადგინა რექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მითითებულია დაწესებულების მისია, ღირებულებები და სტრატეგიული ამოცანები, საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომრები, ელფოსტა და ვებგვერდი).

კატალოგში მოცემულია ინფორმაცია ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამების შესახებ-პროგრამის სახელწოდება, მიმართულება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლების ენა, პროგრამის მოცულობა კრედიტებსა და ასტრონომიულ საათებში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, პროგრამის ხანგრძლივობა, აქტუალობა, მიზნები და შედეგები, პროგრამის სტრუქტურა, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა, სწავლება-სწავლის მეთოდები. საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა არსებობს ამონაბეჭდი სახით და განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე.

კატალოგთან მიმართებით აღსანიშნავია შემდეგი: დაწესებულების მიერ წარმოდგენილ კატალოგში მითითებული ინფორმაციის ნაწილი იდენტურია სხვა უსდ–ს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციისა, კერძოდ: კატალოგის მე-6 გვერდზე არსებული – „მენეჯმენტის მოდულის მიზანი“ და გვერდი 11, 12, 13 – და ასევე „მენეჯმენტისა და ფინანსების მოდულის სწავლის შედეგები“ - იხ. http://thu.edu.ge/pdf/biznesis_da_martvis_sabakalavro%20programa.pdf (გვ.4, გვ 8, 9, 10).

აღნიშნულთან დაკავშირებით, თამარ გვიანიშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ორი დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების მოდულები შეიცავენ განსხვავებულ სასწავლო კურსებს: შპს საერთაშორისო აკადემიის პროგრამაში მენეჯმენტის მოდული მოიცავს შემდეგ კურსებს: ოპერაციული მენეჯმენტი და ინოვაციური მენეჯმენტი, სხვა უსდ-ის პროგრამაში კი - შემდეგ კურსებს: საფონდო ბირჟა და საბირჟო ვაჭრობა; ფინანსური რისკების მართმართვა, ბიზნეს ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება. 2. შპს საერთაშორისო აკადემიის პროგრამაში ფინანსების მოდული მოიცავს შემდეგ კურსებს; საერთაშორისო ფინანსები,სხვა უსდ–ის პროგრამაში კი – ფინანსური მათემატიკა; ფინანსების მართვა; დაზღვევა და რისკები.

აღნიშნული განსხვავების მიუხედავად, ორივე შემთხვევაში იდენტურია მოდულების მიზნები და სწავლის შედეგები. შესაბამისად, შეიძლება ითქვას შემდეგი: შპს საერთაშორისო აკადემიის პროგრამაში დაგეგმილი მიზნები და სწავლის შედეგები მიიღწევა მათ შორის იმ სასწავლო კურსების მეშვეობით, რომლებიც სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არ არის; დაწესებულების პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესწავლა ან

არშესწავლა არანაირ გავლენას არ ახდენს სტუდენტის კომპეტენციებზე, დაგეგმილი მიზნები და შედეგები მიიღწევა ამ სასწავლო კურსების გარეშეც; არ არის დაცული მოდულის მიზნების, დაგეგმილი სწავლის შედეგებისა და მათი მიღწევის მიზნით შერჩეული სასწავლო კურსების ურთიერთშესაბამისობა. ანუ, თუ დაწესებულებამ გაითვალისწინა, გაიზიარა სხვა პროგრამის მოდულების მიზნები და შედეგები, მას ასევე უნდა გაეთვალისწინებინა მოდულის ის სასწავლო კურსებიც, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ მიზნებისა და შედეგების მიღწევას, რადგან პროგრამის სწავლის მიზნები, შედეგები და სასწავლო კურსები უნდა იყოს ურთიერთშესაბამისობაში. თამარ გვიანიშვილმა სხდომაზე განმარტა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული ეხება როგორც კატალოგს, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმსაც.

1.2 დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დებულებაში აღწერილია სტუდენტის ეთიკის კოდექსი და სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები, ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში" კი მითითებულია სტუდენტის სტატუსის მოპოვების (მ.11), სტუდენტის სტატუსის შეჩერების (მ.12), სტატუსის სტატუსის აღდგენის (მ.13), სტატუსის შეწყვეტისა და აღდგენის (მ.14), გარე და შიდა მობილობის მარეგულირებელი (მ.15,16) წესები და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა/თავსებადობა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი (მ. 17).

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი:

დებულებასა და შინაგანაწესში არსებობს ინფორმაცია სტუდენტის ქცევის წესებისა და მათი დარღვევის შემთხვევაში დისციპლინარული დევნის განხორციელების საფუძველზე სხვადასხვა სანქციის გამოყენების შესახებ, კერძოდ, დამრღვევი სტუდენტის მიმართ შეიძლება იყოს გამოყენებული სამი ტიპის სანქცია: სტუდენტს შეიძლება მიეცეს ზეპირი ან წერილობითი გაფრთხილება ან „აკადემიის დებულებით განსაზღვრული ეთიკური ნორმების დარღვევის შემთხვევაში სტუდენტს შეიძლება შეუჩერდეს სტუდენტის სტატუსი მიმდინარე ერთი სემესტრის მანძილზე და მიეცეს რეკომენდაცია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლაზე" (,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", მ.12, პ. „ი"). თუმცა, ზემოთ მითითებულ რეგულაციებში არ არის ცალსახად მოცემული, რა შემთხვევაში იქნება გამოყენებული სტუდენტის სტატუსის შეჩერების სანქცია და არ დგინდება რა ღონისძიებებს მიმართავს დაწესებულება, თუ სტუდენტმა არ გაითვალისწინა რეკომენდაცია და მითითებული ერთსემესტრიანი ვადის გასვლის შემდეგ არ ისარგებლა მობილობის უფლებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტმა თამარ გვიანიშვილმა საბჭოს წევრებს დამატებით მოახსენა, რომ შენიშვნის არსი მდგომარეობდა შემდეგში: ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და გათვალისწინებული წესით, სამართლიანი პროცედურის გზით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია შეიმუშაოს სტუდენტის ეთიკის კოდექსი, რომელიც შესაძლებელია აწესებდეს შეზღუდვას სტუდენტის ქცევაზე, თუ ეს დაკავშირებულია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვასთან. შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დეტალურად განსაზღვროს ქცევის წესი, რომელიც იწვევს სტუდენტის დისციპლინურ პასუხისმგებლობას, რაც დაწესებულების რეგულაციებში არ იყო ასახული.

ასევე აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში" მითითებული ინფორმაციის ნაწილი იდენტურია სხვა უსდ–ის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციისა, კერძოდ:

მუხლი 12. „სტუდენტის სტატუსის შეჩერების წესი" http://www.thu.edu.ge/pdf/ects.pdf (გვ.2 – პ.2 „ა", „გ" – „ზ", „ი", პ.3–4);

მუხლი 15. „სტუდენტის გარე მობილობა“ – http://www.thu.edu.ge/pdf/ects.pdf (გვ.4 – პ.1–3, 5, 7, 8);

მუხლი 17. „საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა/თავსებადობა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი“ – http://www.thu.edu.ge/pdf/ects.pdf (გვ.6 – პ.1–7).

თამარ გვიანიშვილმა სხდომაზე აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში არ არის ნათქვამი, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეგულაციები არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ისინი ასახავენ ნორმატიულ აქტებში მოცემულ ინფორმაციას და, თავისთავად, მოიცავენ იდენტურ ამონარიდებს ამ აქტებიდან. დასკვნაში ყურადღება გამახვილებულია იმ შემთხვევებზე, როდესაც დაწესებულების რეგულაციების ტექსტები იდენტურია არა ნორმატიული აქტების, არამედ სხვა უსდ–ის რეგულაციების ტექსტებისა, კერძოდ, არსებობს იდენტური ჩანაწერები, რომლებიც ნორმატიული აქტების ტექსტებში მოცემული არ არის; არსებობს ნორმატიული აქტების ტექსტების შეერთებით მიღებული იდენტური ჩანაწერები; არსებობს ნორმატიული აქტების ტექსტების ერთნაირი შეცვლით მიღებული იდენტური ჩანაწერები; რიგ შემთხვევაში იდენტურია არა მხოლოდ ტექსტები, არამედ მათი თანმიმდევრობაც.

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 15.9 პუნქტში, რომელიც ეხება სტუდენტის გარე მობილობას, მითითებულია, „ბრძანების პროექტზე ცენტრის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ, გამოიცემა აკადემიის რექტორის ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ და იგზავნებასსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ცენტრის დირექტორის მიერ დადგენილ ვადებში“. 15.11 პუნქტში მოცემულია „სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონული ვერსია, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად, ცენტრს წარედგინება ცენტრის მიერ გაწერილ ვადებში“. აღსანიშნავია, რომ 15.9 და 15.11 პუნქტებთან დაკავშირებული გაწერილი ვადები განისაზღვრება არა ცენტრის დირექტორის და ცენტრის მიერ, არამედ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 04 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-9 მუხლის შესაბამისად.

თამარ გვიანიშვილმა საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 04 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი“ მე-9 მუხლის მიხედვით, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა შემოდგომის სემესტრში 1 ოქტომბრამდე ან 1 მარტამდე, გაზაფხულის სემესტრში. ბრძანება გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება რეესტრში, ხოლო 3 სამუშაო დღის ვადაში იგზავნება ცენტრში. ამასთან, რეესტრის მონაცემების საფუძველზე, იმ დაწესებულების მიერ, საიდანაც გადადის სტუდენტი, გამოიცემა ბრძანება სხვა დაწესებულებაში ჩარიცხული პირის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, ხოლო სტუდენტის მიმართვიდან 1 კვირის ვადაში გაიცემა ბრძანებიდან ამონაწერი, ასევე საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც სტუდენტი ამ დაწესებულებაში ჩაირიცხა და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაცია. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონული ვერსია, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად, ცენტრს წარედგინება შემოდგომის სემესტრში 7 ოქტომბრამდე ან 7 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში.

1.3 ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ (მ. 18) აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების

შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი, მათ შორის, აკადემიის ფარგლებში სტუდენტებისათვის სხვა საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, უკვე მიღებული კრედიტების აღიარება და სხვ. ასევე, დაწესებულებას 5 წლის ვადით გაფორმებული აქვს მემორანდუმი (04.09.2014 წ.) შპს თბილისის ბიზნესისა და მენეჯმენტის აკადემიასთან. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი: დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე–18 მუხლში მითითებული ინფორმაცია იდენტურია სხვა უსდ–ის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციისა (http://www.thu.edu.ge/pdf/ects.pdf) (მთლიანად, გარდა მე–6 პუნქტისა). საბჭოს წევრებს თამარ გვიანიშვილმა მოახსენა, რომ მოცემულ შემთხვევაში იდენტური იყო შინაარსი და ტექსტების თანმიმდევრობა.

1.4 დაწესებულებამ წარმოადგინა „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება",დოკუმენტი „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სისტემა" და მისი დანართები: №1 „საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შედგენის ინსტრუქცია", №2 „საბაკალავრო პროგრამის შეფასების ფორმა", №3 „პროგრამის გზამკვლევი შიდა ექსპერტებისათვის", №4 „სილაბუსის შემოწმების ფორმა", №5 „კითხვარი აკადემიური პერსონალისთვის", №6 „აკადემიური პერსონალის სამეცნიერო–პედაგოგიური საქმიანობის ანგარიში", №7 „სასწავლო კურსის შეფასება", №№8–9 სტუდენტების, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებების გამოკითხვის ანკეტები (კითხვარები).

მოცემულ საკითხებზე აღსანიშნავია შემდეგი: დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები იდენტურია სხვა უსდ–ის ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტებისა, კერძოდ:

„ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება" – http://www.thu.edu.ge/pdf/xarisxis_deb.pdf (მ.1, პ. 1–5; მ.2. მთლიანად; მ.3, პ.1, 2–5; მ.4 მთლიანად; მ.5, პ.–2);

„საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სისტემა" და დანართები №№ 1–14 – http://www.thu.edu.ge/pdf/programis_shefasebis_sistema.pdf (პრეამბულა და მ.მ. 1, 3, 4, 5, 5 მთლიანად; მ.2, პ.1 „ბ", „გ", პ.2. დანართი №1 – პ.1 „ა", „ბ"; პ.2–7, 9; დანართები №3, 5 – 14 – მთლიანად).

თამარ გვიანიშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულების ,,ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების" შემთხვევაში იდენტური იყო არა მხოლოდ ტექსტების შინაარსი, არამედ მათი თანმიმდევრობაც. სხვა უსდ–ის რეგულაციის ტექსტის გადმოღების შედეგად, დაწესებულების რეგულაციაში მოხდა არარელევანტური ჩანაწერები, მაგალითად: „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან ავტორიზაციის/აკრედიტაციის კრიტერიუმების შემუშავების პროცესში", რაც წარმოუდგენელია, ვინაიდან სუბიექტს არ აქვს საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.

თამარ გვიანიშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ შპს საერთაშორისო აკადემიისა და შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის რეგულაციებში არსებობს იდენტური ჩანაწერები, რომლებიც ნორმატიული აქტების ტექსტებში მოცემული არ არის; არსებობს ნორმატიული აქტების ტექსტების შეერთებით მიღებული იდენტური ჩანაწერები; არსებობს ნორმატიული აქტების ტექსტების ერთნაირი შეცვლით მიღებული იდენტური ჩანაწერები და ა.შ; იდენტურია არა მხოლოდ რეგულეციების ტექსტები, არამედ მათი თანმიმდევრობაც.

დოკუმენტ ,,საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სისტემის" შემთხვევაშიც იდენტურია (ზემოთ მითითებული მოცულობით) დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული მასალები, მათ შორის, კითხვარები/გამოკითხვების ანკეტები, რაც ვერ იქნება ახსნილი მათი, თუნდაც ნაწილის იდენტურობით საქართველოს კანონმდებლობასთან. თამარ გვიანიშვილმა

აღნიშნა, რომ გამოკითხვის კითხვარებთან დაკავშირებით შეიძლებოდა იმის თქმა, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია იყო სხვა სასწავლებლის ვებგვერდზე განთავსებული მასალების აბსოლუტურად იდენტური. თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ სიტყვა ,,იდენტური" მოცემულ შემთხვევაში ნიშნავდა ერთსა და იმავეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში უმჯობესი იყო განხილულიყო არა დოკუმენტების ინდეტურობის, არამედ მსგავსების საკითხი. თამარ გვიანიშვილმა დააზუსტა, რომ კითხვარებისა და გამოკითხვების ანკეტების შემთხვევაში საუბარი იყო არა მსგავსებაზე, არამედ ერთნაირობაზე.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 დაწესებულებას ცალკე დოკუმენტის სახით არ აქვს შემუშავებული ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, მაგრამ შემუშავებული აქვს ,,შპს საერთაშორისო აკადემიის" დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულება", რომელშიც გაწერილია დაცვის თანამშრომლის ფუნქციები, ექთნის ფუნქციები და ვალებულებები, დაცვისა და უსაფრთხოების მექანიზმები, საგანგებო სიტუაციების ჯგუფის ფუნქციონალური მოვალეობანი და სახანძრო დაზვერვის რგოლის ამოცანები;

2.2 დაწესებულების ბიბლიოთეკაში არის ორი საინვენტარო წიგნი. ერთში შეტანილია (აღრიცხულია) წიგნები, ხოლო მეორეში - CD დისკები, რომლებზეც ჩაწერილია სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 441 წიგნად ერთეულსა და 165 ერთეულ CD დისკს. დაწესებულებამ წარმოადგინა წიგნადი ფონდის ფლობის დოკუმენტაცია, მაგრამ ვერ წარმოადგინა CD დისკების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები, თუმცა ისინი აღრიცხულია, შეტანილია საინვენტარო წიგნში და განთავსებულია ბიბლიოთეკაში.

2.3 დაწესებულებამ წარმოადგინა რექტორის ბრძანებით (№2/19, 16.07.2014) დამტკიცებული „შპს საერთაშორისო აკადემიის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2014 წელი" და „შპს საერთაშორისო აკადემიის სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა (2014-2020)", რომლებიც განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „შპს საერთაშორისო აკადემიის სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის (2014-2020)" დასკვნაში ,,შპს საერთაშორისო აკადემიის" ნაცვლად მითითებულია ,,შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი".

ვიზიტის დროს გამოვლინდა შემდეგი:

სტრატეგიული განვითარების გრძელვადიან სამოქმედო გეგმაში (2014-2020) მოცემული ინფორმაციის ნაწილი (ღირებულებები – მთლიანად; რესურსები – მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნაწილში; Swot ანალიზი – „ძლიერი მხარეები" – პ. 1–10; „შესაძლებობები" და „საფრთხეები" – მთლიანად; საერთაშორისო აკადემიის განვითარების სტრატეგიული მიზნები 2015-2020 წლებში და სამოქმედო გეგმა – პუნქტები 1, 3, 4, 9, 10 (პ.4) და 12–19 – მთლიანად; სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შემუშავება და დასკვნა - მთლიანად) იდენტურია სხვა უსდ–ის ვებგვერდზე არსებული ინფორმაციისა (http://thu.edu.ge/pdf/6_cliani_gegma.pdf);

თამარ გვიანიშვილმა დამატებით განმარტა, რომ დაწესებულების საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვის ერთ–ერთი მეთოდი – სვოტ ანალიზი, რომელიც უნდა ასახავდეს დაწესებულების ხედვას მისი განვითარების შესახებ, იყო არარელევანტური, რადგან დაწესებულებას, რომელსაც ჯერ არ აქვს მიღებული უსდ–ის სტატუსი და დაწესებულებას, რომელიც საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს 1992 წლიდან, აქვთ თუნდაც ნაწილობრივ ერთნაირი 6–წლიანი განვითარების გეგმა და სვოტ ანალიზების ერთნაირი შინაარსის შემადგენელი ნაწილები. მაგალითად: „ძლიერი მხარეები", „შესაძლებლობები" და „საფრთხეები". თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ სვოტ ანალიზი წარმოადგენს დაწესებულების განვითარების ანალიზს, სტრატეგიული მართვის ერთ-ერთ მეთოდს,

შესაბამისად არ არის რელევანტური, რომ 22-წლიანი გამოცდილების მქონე დაწესებულებასა და იმ სუბიექტს, რომელსაც ჯერ არ დაუწყია საგანმანათლებლო საქმიანობა, ჰქონდეთ იდენტური განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმები და განვითარების ანალიზი. თამარ გვიანიშვილის მოსაზრებით, აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ დაწესებულებას არ აქვს გააზრებული სტრატეგიული გეგმისა და სვოტ ანალიზის მნიშვნელობა.

დაწესებულების „განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის" (http://intacademy.ge/wp-content/uploads/2014/09/სტრატეგია-2014.pdf) თანახმად, დაგეგმილი იყო „განათლების და შრომის ბაზრის კვლევა, მონაცემების შეგროვება, რეკომენდაციების შემუშავება" და „საბაკალავრო პროგრამებზე მუშაობის დაწყება შრომის და განათლების ბაზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებით", თუმცა, აკადემიური და ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმებით არ დგინდება, რომ პროგრამის შემუშავება მოხდა თავად დაწესებულების მიერ დადგენილი პირობის დაცვით. გარდა ამისა, ამავე გეგმის „მიღებულ შედეგებში" მითითებულია, რომ არსებობს „განათლების და შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, დაგროვილი მონაცემები, შემუშავებული რეკომენდაციები", თუმცა, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ზემოთ ხსენებული კვლევის ჩატარებისა და შემუშავებული რეკომენდაციების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

თამარ გვიანიშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ ზემაღნიშნული შეუსაბამობები იწვევდა არარელევანტური ჩანაწერების არსებობას, მაგალითად:

1) ძლიერ მხარედ დაწესებულების მიერ მიჩნეულია „უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და პროფესიულ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები", რაც დაწესებულებას არ აქვს. ასევე ძლიერ მხარედ მიიჩნევა „ECTS-თან და ბოლონიის პროცესთან შესაბამისობა", თუმცა გაუგებარია როგორ და რა ინდიკატორების მეშვეობით დაადგინა ეს დაწესებულებამ ავტორიზაციის არარსებობის პირობებში.

2) სტრატეგიული გეგმის შესაძლებლობებში მითითებულია „საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტურობის ამაღლება", თუმცა, გაუგებარია როგორ ხდება „ეფექტურობის ამაღლება", მაშინ როდესაც ამ ეტაპზე არ არსებობს თავად „საერთაშორისო თანამრომლობა". ასევე მითითებულია „მისაღები კონტინგენტის გაზრდის შესაძლებლობა", რაც ასევე გაუგებარი ჩანაწერია, ვინაიდან დაწესებულებას ამ ეტაპზე სტუდენტები არ ჰყავს და არც მისაღები კონტინგენტია განსაზღვრული საბჭოს მიერ.

3) სტრატეგიულ გეგმაში მითითებულია შემდეგი: „2016-2017 სასწავლო წელს ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, კეთილმოწყობა და გაფართოება, რაც გულისხმობს შემდეგი სახის ღონისძიებების გატარებას", თუმცა დაუსრულებელი წინადადებისა და ინფორმაციის არარსებობის გამო, გაუგებარია რა მოიაზრება „შემდეგი სახის ღონისძიებებში".

4) სტრატეგული განვითარების გეგმაში არ არის გათვალისწინებული სვოტ ანალიზში მითითებული უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და პროფესიულ ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმების, საერთაშორისო თანამშრომლობისა და მისი ეფექტურობის ამაღლების ღონისძიებები.

5) სტრატეგიულ გეგმაში არსებობს შემდეგი ჩანაწერი: „იხ. დანართები ფაკულტეტების მიხედვით", თუმცა დაწესებულებას აქვს მხოლოდ ერთი საგანმანათლებლო ერთეული, რომელსაც თავად უწოდებს არა „ფაკულტეტს", არამედ „სკოლას". გარდა ამისა, ვერ მოხერხდებოდა დანართების ნახვა მათი არარსებობის გამო.

6) სტრატეგიული გეგმის „დასკვნაში" მითითებულია „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი", თუმცა დაწესებულების დასახელებაა „საერთაშორისო აკადემია".

ავტორიზაციის საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი თინათინ ბრეგვაძე.

დასკვნის თანახმად, სამოქმედო გეგმის „აქტივობაში“ მითითებულია „საერთაშორისო და საქართველოში მოქმედ უნივერსიტეტებთან მემორანდუმების გაფორმება“. აღნიშნული აქტივობა „მიღებული შედეგის“ მიხედვით შესრულებულია, მათ შორის საერთაშორისო უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმების ნაწილში, თუმცა დაწესებულებაში არ არსებობს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ერთწლიანი გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით დაწესებულების რექტორმა მედეა მჭედლიძემ ვიზიტის მიმდინარეობისას ზეპირად განმარტა, რომ საბაკალავრო პროგრამა განხილულ იქნა ბიზნეს სკოლის საბჭოს(სხდომის ოქმი №2, №3) სხდომებზე, რომელსაც ესწრებოდნენ პროფესორ-მასწავლებლები. საბჭოს სხდომის მონაწილეებს ეთხოვათ, აზრი გამოეთქვათ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული რამდენად იქნება კონკურენტუნარიანი და თუ იქნებოდა მიღებული ცოდნა ეფექტური. აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა ერთწლიანი და 6-წლიანი გეგმები. სხდომაზე დადგინდა, რომ კვლევები შემდგომში ჩატარდებოდა ფაკულტეტის/პროგრამის დამატებისთვის. რაც შეეხება საერთაშორისო ხელშეკრულების გაფორმებას, ამჟამად მიმდინარეობს უცხოეთის უნივერსიტეტებთან მოლაპარაკებები ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, რომელიც განხორციელდება დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მიღების შემდგომ.

თამარ გვიანიშვილმა სხდომის მიმდინარეობისას აღნიშნა, რომ განვითარების გეგმა უნდა იყოს რეალისტური და მიღწევადი, მასში მითითებული ინფორმაცია კი - სანდო. თუ გეგმაში მითითებულია, რომ რაიმე დაგეგმილი აქტივობა შესრულებულია და შედეგიც მიღწეულია, უნდა არსებობდეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტები ან/და ამ აქტივობის განხორციელებით მიღწეული შედეგი. მაგალითად, გეგმის მიხედვით, ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა განათლებისა და შრომის ბაზრის კვლევა, მონაცემების შეგროვება, რეკომენდაციების შემუშავება, მიღებულ შედეგად კი მითითებული იყო – განათლებისა და შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, დაგროვილი მონაცემები, შემუშავებული რეკომენდაციები; ასევე ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა საერთაშორისო და საქართველოში მოქმედ უნივერსიტეტებთან მემორანდუმების გაფორმება, უკვე მიღებულ შედეგად კი ფიქსირდებოდა შემდეგი – საერთაშორისო და საქართველოში მოქმედ უნივერსიტეტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული შედეგების დამადასტურებელი მასალა. შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტმა აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით, შპს საერთაშორისო აკადემიას განვითარების უზრუნველსაყოფად არ ჰქონდა გააზრებული განვითარების გეგმების მნიშვნელობა და შინაარსი.

თამარ გვიანიშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ მისი აზრით, შპს საერთაშორისო აკადემიამ სხვა სასწავლებლის დოკუმენტაციია გაიზიარა გაუაზრებლად და ამან გამოიწვია დაწესებულების პირობების შეუსაბამობა საკუთარ რეგულაციებთან.

თამარ გვიანიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ზოგადად, ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს ასახავს როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარი, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა. ორივე შემთხვევაში მითითებულია, რომ „დაწესებულებას შემუშავებული აქვს“ წესები/მექანიზნები, რომლებითაც უნდა დასტურდებოდეს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. მოცემულ შემთხვევაში შეიძლება ითქვას შემდეგი: დაწესებულებას აქვს თვითშეფასების კითხვარში მითითებული დოკუმენტები, ხოლო რაც შეეხება სტანდარტის მოთხოვნას - დაწესებულების მიერ წესების/მექანიზმების შემუშავებასა და გააზრებას, აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევაში მათი ნაწილი ნაწილობრივ ან სრულიად იდენტურია სხვა უსდ–ის ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტებისა, ან შეუსაბამოა დაწესებულების ამჟამინდელ სტატუსთან და არ არის გააზრებული დაწესებულების მიერ, რაც დასტურდება, როგორც არარელევანტური ჩანაწერებით, ისე საკუთარი სახელწოდების ნაცვლად სხვა უსდ–ის, კერძოდ,თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მითითებით.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 შპს საერთაშორისო აკადემიის აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. გადმოწმდა რექტორის 28.04.2014 №2/9 ბრძანებით „აკადემიურ თანამდებობებზე პერსონალის განწესების შესახებ" და 01.05.2014, №2/11 ბრძანებით „მოწვეული პერსონალის/მასწავლებელთა დანიშვნის შესახებ" დანიშნული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პედაგოგების პირადი საქმეები, მათი კვალიფიკაცია დასტურდებოდა პირად საქმეში წარმოდგენილი სტაჟისა და აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტებითა და ასლებით, ასევე სამეცნიერო ნაშრომების სიით.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი გარემოება:

რექტორის №2/9 ბრძანებით, აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე ნონა ჭანტურია დანიშნულია ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე. პედაგოგის პირადი საქმის მიხედვით, იგი 2005 წლის 27 აგვისტოდან 2012 წლის 7 აგვისტომდე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა შპს თბილისის საერო უნივერსიტეტში. აღნიშნული დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები, კანონმდებლობის შესაბამისად, ჩაითვალა აღიარებულად 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე, რაც ნიშნავს, რომ ნონა ჭანტურიას შრომითი ურთიერთობა კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ რეჟიმში მოიცავს 2 წელს. პედაგოგის პირად საქმეში წარმოდგენილია შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ 2013 წლის 19 აგვისტოს გაცემული №13/97 ცნობა, რომლის შესაბამისად ნონა ჭანტურია 2010 წლიდან მუშაობს ამ დაწესებულებაში ასოცირებულ პროფესორად. აღსანიშნავია, რომ შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტს 2014 წლის 13 ივნისის №15 ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, ხოლო მანამდე მას ჰქონდა ინსტიტუციური აკრედიტაცია 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე და ამის შემდგომ პერიოდში, 2014 წელს ავტორიზაციის მიღებამდე, ის ფუნქციონირებდა ლიცენზირებულ, ანუ არაავტორიზებულ რეჟიმში.

არაავტორიზებული დაწესებულება კანონმდებლობით არ მიიჩნევა საგანმანათლებლო დაწესებულებად, ამდენად,ნონა ჭანტურიას აქვს მხოლოდ 2 (ორი) წლის პედაგოგიური მუშაობის სტაჟი ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

გარდა ამისა, ცენტრის საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრის ჩანაწერების მიხედვით, ტაბუცაძე ქეთევან ტაბუცაძის მონაცემები ფიქსირდება შპს წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტისა და შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ში ასოცირებული პროფესორის (ორივე დაწესებულებაში) თანამდებობებზე.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან მისცა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა მოახსენა ავტორიზაციის ექსპერტებს გაწეული საქმიანობისთვის და აღნიშნა, რომ არ იზიარებდა ექსპერტთა შეფასებას, რომელიც ეხებოდა დოკუმენტაციის შექმნის პროცესში სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების გამოცდილების გაზიარებას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ექსპერტთა შეფასება ეყრდნობოთა მათ პირად მოსაზრებებს და არა იმას, რაც კანონმდებლობით იყო გათვალისწინებული.

დაწესებულების წარმოადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაზე შპს საერთაშორისო აკადემიას შემუშავებული ჰქონდა წერილობითი პასუხი, რომელიც გამოიგზავნა ცენტრში. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აღნიშნული წერილის შინაარსს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემულ წერილში დაწესებულება არ უარყოფდა, რომ გაიზიარეს ერთ-ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულების გამოცდილება, რომელიც, თავის მხრივ, არ იყო წინააღმდეგი შპს საერთაშორისო აკადემიას განეხორციელებინა აღნიშნული ქმედება.

აკადემიის ,,ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაში" არსებულ შემდეგ ჩანაწერთან - ,,ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან", დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს იყო დაწესებულების სამომავლო ხედვა და ექსპერტებს არ შეეძლოთ წინასწარ შეეფასებინათ ის, თუ მაგალითად, რა ფინანსური რესურსების დახარჯვა იგეგმებოდა დაწესებულების განვითარებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, რამდენად უფლებამოსილია ექსპერტი, გაარკვიოს იდენტურია თუ არა ავტორიზაციის მაძიებლის დოკუმენტაცია სხვა დაწესებულების დოკუმენტაციისა. ასევე, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისი აზრით, ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტს უნდა შეეფასებინა ის დოკუმენტაცია, რომელიც დაწესებულებას რეალურად ჰქონდა და ვიზიტის მიმდინარეობისას არ ერკვია ავტორიზაციის მაძიებლის დოკუმენტაციის იდენტურობის საკითხი სხვა დაწესებულების დოკუმენტაციასთან. დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ შპს საერთაშორისო აკადემიამ გაიზიარა ერთ-ერთი მოქმედი უმაღლესი საგანამანთლებლო დაწესებულების გამოცდილება და აღნიშნულთან დაკავშირებით იგი ვერანაირ დარღვევას ვერ ხედავდა. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევერებს მოახსენა, რომ იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის პრაქტიკაც გაიზიარეს , აღნიშნულთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ ჰქონდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თითქმის ყველა საკითხი, რომლებზეც ექსპერტმა თამარ გვიანიშვილმა ისაუბრა, ეხებოდა სხვა დაწესებულების გამოცდილების გაზიარებას და, შესაბამისად, იგი დეტალურად აღარ ისაუბრებდა აღნიშნულ შენიშვნებზე. დაწესებულების წარმომადგენელი დაინტერესდა, მაგალითად, მოქმედი საგანმანათლებლო დაწესებულების შენობის ინდენტური შენობა რომ აეშენებინა ავტორიზაციის მაძიებელს, ჩაითვლებოდა თუ არა ეს ხარვეზად. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით, სხვა მოქმედი დაწესებულების გამოცდილების გაზიარება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა.

უსაფრთხოების წესების გაწერასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხარვეზს არ წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ დაწესებულებას ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები გაწერილი ჰქონდა ერთიან აქტში - ,,დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულებაში". შესაბამისად, იგი ამ მიმართულებით სტანდარტის დარღვევას ვერ ხედავდა.

ადამიანურ რესურსში დაფიქსირებულ შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულმა პირმა, ნონა ჭანტურიამ, დაწესებულებაში წარმოადგინა სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია. შპს საერთაშორისო აკადემიამ არ გადაამოწმა, უდასტურდებოდა თუ არა მოცემულ პირს სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რთული იყო იმის ზუსტად დადგენა, თუ რომელ პერიოდში ითვლებოდა კონკრეტული დაწესებულება ავტორიზებულად და რა პერიოდში იყო მის მიერ გაცემული დიპლომები კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ მისი აზრით, კანონმდებლობით პირდაპირი მოთხოვნა, რომ პედაგოგიურ გამოცდილებად ითვლებოდა მხოლოდ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამისი საქმიანობა, არ იყო დადგენილი.

მიუხედავად ამისა, ზაზა აბულაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა და ნონა ჭანტურია აღარ იყო აკადემიურ თანამდებობაზე.

ბიბლიოთეკაში CD დისკების ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტების არარსებობაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა CD დისკი იყო ბალანსზე აყვანილი, თუმცა შეუძლებელი იყო ბალანსზე აყვანილიყო დისკებზე ინტერნეტიდან გადმოწერილი მასალა, ანუ შიგთავსი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბიბლიოთეკო რესურსებზე შპს საერთაშორისო აკადემიას უდასტურდებოდა ფაქტობრივი მფლობელობა. შესაბამისად, ზაზა აბულაძის მოსაზრებით, აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენდა ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევას.

დოკუმენტაციის იდენტურობასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ დაწესებულების მიერ საბჭოს წევრებისთვის მომზადებულ წერილში ნათლად იყო ნაჩვენები, რომ მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამები იყო მსგავსი, მათ შორის სწავლის მიზნებიც და შეფასების სისტემაც. აქედან გამომდინარე, ზაზა აბულაძის მოსაზრებით, იგი ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევას ვერ ხედავდა. მისი მოსაზრებით, თუ დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებები იყო მხოლოდ ექსპერტთა რეკომენდაცია ან მოსაზრება, დაწესებულებას შეეძლო ან გაეთვალისწინებინა, ან - არა. ზაზა აბულაძემ აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით, ვიზიტის პერიოდში ექსპერტებს უნდა დაეფიქსირებინათ, თუ რა ხარვეზები ჰქონდა შპს საერთაშორისო აკადემიას და არ ის, რომ ეკვლიათ რამდენად იდენტური იყო ავტორიზაციის მაძიებლის დოკუმენტაცია სხვა მოქმედი საგანმანათლებლო დაწესებულების დოკუმენტაციისა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტების უფლებამოსილება იყო შეემოწმებინათ დაწესებულებაში მხოლოდ დოკუმენტების არსებობა ან არარსებობა.

საბჭოს წევრმა დავით აფრასიძემ აღნიშნა, რომ აკადემიურ სივრცეში ინფორმაცია, დოკუმენტაცია ღიაა და ასევე არსებობს ციტირების შესაბამისი წესები. დავით აფრასიძის მოსაზრებით, საბჭო არსებითად განიხილავს, რამდენად არის ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულება, რომელსაც სურს მიიღოს სტუდენტები, თავისი რესურსებით, მათ შორის ადამიანური და მატერიალური, მზად, რომ დაგეგმოს და განახორციელოს, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობა, ისე დაწესებულებაში არსებული სხვა პროცესები. ავტორიზაციის სტანდარტის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს, რომ დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამებოდეს დაკავებულ თანამდებობას. შესაბამისად, საბჭომ უნდა იმსჯელოს, რამდენად არის დაწესებულების ხელმძღვანელობა და პერსონალი მზად, რომ დაგეგმოს და განახორციელოს, როგორც ავტორიზაციის მოპოვების პროცესი, ისე უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობა. შესაბამისად, დავით აფრასიძის მოსაზრებით, ექსპერტებს სწორედაც, რომ მოეთხოვებათ დააკვირდნენ და შეაფასონ, რამდენად მიმდინარეობს ავტორიზაციის მაძიებელ დაწესებულებაში აღნიშნული პროცესები ისე, რომ საბჭომ მიიჩნიოს, რომ მომავალში დაწესებულებაში პროცესები განვითარდება სტუდენტების უფლებების, ინტერესებისა და მოთხოვნების სასიკეთოდ. შესაბამისად, მისი მოსაზრებით, თუკი ექსპერტები დააფიქსირებდნენ ერთი დაწესებულების დოკუმენტების იდენტურობას სხვა დაწესებულების დოკუმენტებთან, მათ ამის შესახებ დასკვნაში შესაბამისი შეფასება უნდა გაეკეთებინათ.

დავით აფრასიძემ აღნიშნა, რომ დასკვნის თანახმად, სტრატეგიული გეგმაში და სვოტ ანალიზში მოცემული იყო, რომ დაწესებულება აპირებდა მიღებულ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდას და ასევე საერთაშორისო და საქართველოში მოქმედ უნივერსიტეტებთან მემორანდუმების გაფორმებას, რაც დოკუმენტში არსებული მიღებული შედეგების მიხედვით იყო უკვე შესრულებული. დავით აფრასიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ეთანხმებოდა თუ არა ამ ჩანაწერს, და თუ აღნიშნული ჩანაწერი მოცემული იყო დაწესებულების დოკუმენტაციაში, იყო თუ არა მემორანდუმები გაფორმებული საერთაშორისო უნივერსიტეტებთან. დავით აფრასიძის მოსაზრებით, იმ

შემთხვევაში, თუ დაწესებულებას ასეთი დოკუმენტაცია არ გააჩნდა, მაშინ როგორ მოხდა, რომ როდესაც მოქმედი საგანმანათლებლო დაწესებულების პრაქტიკა გაიზიარეს, საკუთარ რეგულაციაზე მუშაობისას ვერ აღმოაჩინეს დაფიქსირებული უზუსტობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ამ ეტაპზე არ ჰქონდა საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და თუ შპს საერთაშორისო აკადემია მიიღებდა ავტორიზაციას, მაშინ განახორციელებდა გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებს. ზაზა აბულაძემ აღნიშნა, რომ სტრატეგიულ გეგმებში საუბარი იყო სამომავლო გეგმებზე, თუ რის განხორციელებას აპირებდა დაწესებულება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ შესრულებულ აქტივობებში მითითებული იყო, რომ შპს საერთაშორისო აკადემიას უკვე გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმები საერთაშორისო და საქართველოში მოქმედ უნივერსიტეტებთან, თუმცა, მემორანდუმი გაფორმებული იყო მხოლოდ საქართველოში მოქმედ ერთ დაწესებულებასთან. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვინაიდან შპს საერთაშორისო აკადემიას არ ჰქონდა ავტორიზაცია, მას მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული მხოლოდ ერთ დაწესებულებასთან და მომავალში ამ მიმართულებით გეგმავდა პროცესების დაგემვასა და განხორციელებას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რატომ არსებობდა შპს საერთაშორისო აკადემიის სამოქმედო გეგმაში სხვა დაწესებულების დოკუმენტში არსებული ჩანაწერის იდენტური ჩანაწერი, ანუ რატომ ჰქონდა ავტორიზაციის მაძიებელ დაწესებულებას უკვე შესრულებულ აქტივობად მითითებული - საერთაშორისო და საქართველოში მოქმედ უნივერსიტეტებთან მემორანდუმების გაფორმება. საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, იქმნებოდა გონივრული ეჭვი, რომ შპს საერთაშორისო აკადემიამ სხვა დაწესებულების დოკუმენტები გადმოიტანა ყოველგვარი დაგეგმვის, განხილვისა და გააზრების გარეშე. ის არგუმენტი, რომ დაწესებულებას ჯერ არ აქვს ავტორიზაცია და მისი მიღების შემდგომ დაიწყებდა აქტივობების დაგეგმვას, საბჭოს მხრიდან ვერ იქნებოდა გაზიარებული, რადგან დაწესებულებამ ავტორიზაციის მიღების ეტაპზე უნდა დაადასტუროს, რომ მას შეუძლია მაღალი პასუხისმგებლობით სწორად დაგეგმოს, განიხილოს და გაიაზროს ის პროცესები, რომელთა განხორციელებასაც აპირებს დაწესებულება ერთი და ექვსი წლის განმავლობაში.

საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, სამოქმედო გეგმები უნდა იყოს დაწესებულების რეალობაზე მორგებული, ავთენტური და არ უნდა იყოს სხვა მოქმედი დაწესებულების სამოქმედო გეგმის იდენტური. საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, ექსპერტთა ჯგუფის მთავარ ამოცანას არ წარმოადგენს დაადასტუროს მხოლოდ დოკუმენტების არსებობა ან არარსებობის ფაქტი. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი უნდა დარწმუნდეს, რომ დოკუმენტები რეალურად შემუშავებული და გააზრებულია ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების მიერ. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზრებას.

ავტორიზაციის საბჭოს წევრი თამარ ზაალიშვილი დაინტერესდა, ჩატარდა თუ არა რეალურად დაწესებულებაში სვოტ ანალიზი. თამარ ზაალიშვილის მოსაზრებით, სვოტ ანალიზის ჩატარება დაკავშირებული იყო გარკვეულ პროცესებთან, რომელსაც სჭირდებოდა შესაბამისი მეთოდოლოგიის განსაზღვრა და მონაწილეთა გარკვეული რაოდენობა. მისი მოსაზრებით, სვოტ ანალიზად ვერ ჩაითვლებოდა მხოლოდ ერთი პირის ნააზრევი. შესაბამისად, თამარ ზაალიშვილი დაინტერესდა, განხორციელდა თუ არა აღნიშნული პროცესები შპს საერთაშორისო აკადემიაში.

მოცემულ კითხვასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული პროცესები განხორციელდა დაწესებულებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ინვესტიცია, რომელიც ჩადებული იყო, არ განხორციელდებოდა. ზაზა აბულაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება გეგმავდა მომსახურების გაყიდვასა და შემოსავლების მიღებას, შესაბამისად, სვოტ ანალიზისა და შესაბამისი ბიზნეს გეგმის გარეშე ამას დაწესებულება ვერ განახორციელებდა. ზაზა აბულაძემ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ სხვა დაწესებულების

გამოცდილების გაზიარებაში იგი პრობლემას ვერ ხედავდა. თამარ ზაალიშვილმა აღნიშნა, რომ გამოცდილების გაზიარებად ჩაითვლებოდა, მაგალითად თუ ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულება დაუკავშირდებოდა მოქმედ დაწესებულებას და ჰკითხავდა, როგორ განახორციელა სვოტ ანალიზი. თამარ ზაალიშვილმა დაზუსტების მიზნით განმეორებით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, განხორციელდა თუ არა რეალურად შპს საერთაშორისო აკადემიაში სვოტ ანალიზი. თამარ ზაალიშვილის მოსაზრებით, დაწესებულების საქმიანობა უნდა ყოფილიყო ღია, გამჭვირვალე და ეფექტიანი, ვინაიდან თუ იგი მიიღებდა ავტორიზაციას, მას სტუდენტებისთვის უნდა უზრუნველეყო სათანადო ხარისხის უმაღლესი განათლების მიწოდება. თამარ ზაალიშვილის მოსაზრებით, შეუძლებელია, რომ მოქმედი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ავტორიზაციის მაძიებელი სუბიექტის ძლიერი და სუსტი მხარეები იყოს იდენტური და მათ ჰქონდეთ იდენტური განვითარების გეგმები.

დაწესებულების კანცლერმა განაცხადა, რომ მას ჰქონდა შესაბამისი კონტაქტები საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც მზად იყვნენ შპს საერთაშორისო აკადემიასთან გაეფორმებინათ მემორანდუმები.

საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები იყო არსებითი ხასიათის. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საერთაშორისო აკადემიისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 56^4-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს საერთაშორისო აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი 406113209) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

2. შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ნინო ბერელიძემ.

მისი განცხადებით, შპს ინტერბიზნესის აკადემია წარმოადგენდა საზოგადოებრივ კოლეჯს, რომელიც ახორციელებდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა 2 საბაკალავრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება და ინფორმატიკა. ექსპერტის განმარტებით, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, დაწესებულების სურვილი იყო ასევე განეხორციელებინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიც.

ექსპერტის თქმით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია და დაწესებულება აკმაყოფილებს ავტორიზაციის სამივე სტანდარტს. წარმოდგენილი 2 საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდებოდა ისრაელის უნივერსიტეტ - არიელთან ერთად, რომლის მიხედვითაც სტუდენტები გარკვეული პერიოდის განმავლობაში ისწავლიდნენ ისრაელის უნივერსიტეტში. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ დააკმაყოფილებს იმ პირობებს, რომლებიც არიელის უნივერსიტეტის მიერ არის დადგენილი, ასეთი სტუდენტი მხოლოდ შპს ინტერნიზნესის აკადემიაში განაგრძობს სწავლას.

საბჭოს წევრი დავით აფრასიძე დაინტერესდა, თუ რომელი ბაზრისკენ აქვს დაწესებულებას ორიენტირი და რა ენაზე განხორციელდებოდა სასწავლო პროცესი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება ორიენტირებული იყო ქართულ და ისრაელის ბაზრებზე, ხოლო რაც შეეხება სასწავლო პროცესს, სწავლების ენა იქნებოდა ქართულიც და ინგლისურიც. ამასთან, 5 სემესტრის განმავლობაში ინგლისური ენის სწავლება განხორციელდებოდა გაძლიერებულად.

საბჭოს წევრი ნინო სოზაშვილი დაინტერესდა, თუ რამდენი სტუდენტი სწავლობს ამჟამად დაწესებულებაში. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროფესიულ პროგრამაზე 85 პროფესიული სტუდენტი ერიცხება დაწესებულებას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როგორ მოხდება დაწესებულებაში უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა ერთმანეთისგან გამიჯვნა. ნინო ბერელიძემ აქვე დასძინა, რომ ვიზიტის დროსაც დაისვა საკითხი დაწესებულებაში ფართის გამიჯვნასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ჯამში 300 სტუდენტის მიღება იგეგმებოდა, აქედან 150 სტუდენტი ისწავლიდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, დანარჩენი 150 - კი უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე.

საბჭოსთავმჯდომარე ირინა ხანთაძე დაინტერესდა, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, როგორ მოიზიდავდა დაწესებულება სტუდენტებს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას ჰქონდა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების განსხვავებული ხედვა, ამასთან, დაწესებულება თანამშრომლობდა

არიელის უნივერსიტეტთან და ეს გარემოება მიიჩნეოდა ერთ-ერთ ყველაზე დადებით მხარედ. აღნიშნული გარემოებების მეშვეობით მოიზიდავდნენ სტუდენტებს .

ირინა ხანთაძემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რაში გამოიხატებოდა არიელის უნივერსიტეტთან თანამშრომლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტს 240 კრედიტიდან 80 კრედიტს მიანიჭებდა ს არიელის უნივერსიტეტიდა იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი დაძლევდა ისრაელის უნივერსიტეტის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, მასზე გაიცემოდა არიელის უნივერსიტეტის დიპლომი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სწავლას განაგრძობდა მხოლოდ შპს ინტერბიზნესის აკადემიაში და მასზე გაიცემოდა მხოლოდ ქართული დიპლომი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემულ საკითხებს დეტალურად აწესრიგებდა ინტერბიზნესის აკადემიის დებულება და არიელის უნივერსიტეტთან დადებული მემორანდუმი.

ნინო ბერელიძემ დასძინა, რომ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ტრენინგების ფორმით მიმდინარეობდა ინფორმაციის გაცვლა არიელის უნივერსიტეტსა და ინტერბიზნესის აკადემიის პერსონალს შორის. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელის თქმით, როდესაც არიელის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ჩამოვა საქართველოში სასწავლო კურსების ჩასატარებლად, ისინი გაივლიან აქ ყველა იმ პროცედურას, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

საბჭოს თავმჯდომარე ირინა ხანთაძე დაინტერესდა, აპირებს თუ არა დაწესებულება აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ორივე პროგრამა არიელის უნივერსიტეტს აკრედიტებული აქვს ევროპაში. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ სამომავლოდ დაწესებულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გეგმავს აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას.

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 16:10 საათზე.
სხდომა განახლდა 16: 25 საათზე.

საბჭოს წევრი ნინო სოზაშვილი დაინტერესდა, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით დაწესებულების მიერ დადებული მემორანდუმებითაით და პრაქტიკის განხორციელების ობიექტებით.

ექსპერტის განცხადებით, მემორანდუმებში დეტალურადაა გაწერილი პრაქტიკის გავლის საკითხები, ასევე, პრაქტიკის სილაბუსებშიც თემატურად არის ყველაფერი დალაგებული. ამასთან, ყველა პროფესიული პროგრამა აკრედიტირებულ რეჟიმში ხორციელდებოდა და, შესაბამისად, გადამოწმებული იყო ეს საკითხიც. ამასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება გეგმავდა ადგილზე ლაბორატორიის გაკეთებას. ამასთან, მემორანდუმი დადებული იყო ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან და გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტთან.

საბჭოს წევრი თამარ ზაალიშვილი დაინტერესდა, გამოასწორა თუ არა დაწესებულებამ ის შენიშვნები, რომლებიც წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს იყო გამოთქმული ექსპერტების მიერ და რომელთა საფუძველზე უარყოფითი შედეგი დადგა დაწესებულების მიმართ. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს დაწესებულებას ჰქონდა ხარვეზები, რომლებიც ამ ეტაპზე გამოსწორებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარე ირინა ხანთაძე დაინტერესდა, საკმარისი იყო თუ არა დაწესებულებაში არსებული ფართი სასწავლო მიზნებისათვის და რამდენი აუდიტორია იყო განთავსებული დაწესებულებაში. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სწავლება განხორციელდებოდა ერთ ცვლაში და ფართი ამისთვის საკმარისი იყო. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ შენობაში განთავსებული

იყო 16 აუდიტორია. ნინო ბერელიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება 300 სტუდენტისთვის შეძლებდა შესაბამისი გარემოს შექმნას.

პროფესიულ პროგრამებთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობდნენ პოტენციურ დამსაქმებლებთან და მაგალითად მოიყვანა შპს ავერსის კლინიკა, სადაც ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები გაივლიან სასწავლო პრაქტიკას და შემდგომ, სურვილის შემთხვევაში, წარმატებული სტუდენტები იქვე დასაქმდებოდნენ. საბჭოს წევრი თამარ ზაალიშვილი დაინტერესდა, თუ რა იქნებოდა აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის საფასური. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საფასური იქნებოდა 1400 ლარი.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით, მათ შორის, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს ინტერბიზნესის აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 201990881) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (კოლეჯი) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. შპს ინტერბიზნესის აკადემიას სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.

3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გიორგი რამიშვილმა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა თამარ შუდრამ და ლიკა გიორგაძემ.

გიორგი რამიშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა არის დადებითი, თუმცა ვიზიტის დროს ექსპერტებს გარკვეული შენიშვნები ჰქონდათ დაფიქსირებული.

გიორგი რამიშვილმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით დაფიქსირებული იყო ტექნიკური ხასიათის შენიშვნები, რომლებიც გაზიარებულ იქნა დაწესებულების მიერ ვიზიტის მიმდინარეობისას და ამიტომ აღნიშნულ საკითხებს ექსპერტთა ჯგუფი აღარ შეეხებოდა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შენიშვნები ფიქსირდებოდა ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, რომელზეც ისაუბრებდა თამარ შუდრა.

1. ადამიანურ რესურსებთან მიმართებით:

1.1 „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მიხედვით: „1. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება. დამატებითი პირობები შეიძლება განისაზღვროს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით. 2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება." აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე შენიშვნები იყო შემდეგი სახის:

დაწესებულების მიერ ჩატარებული აკადემიური კონკურსის შედეგად არჩეული აკადემიური პერსონალის გარკვეული ნაწილის სამეცნიერო - პედაგოგიური გამოცდილება იყო შემდეგი:

1. ელზა ნიკოლეიშვილი - პროფესორი. აკადემიურ თანამდებობაზე დანიშნულია რექტორის 2014 წლის 01 ივლისის №121/14 ბრძანებით. პროფესორად არჩევის დროისათვის, მისი გამოცდილება მოიცავდა 2009-2014 წლებში უსდ-ებში პედაგოგიური საქმიანობის 5-წლიან სტაჟსა და თბილისის პედიატრიული კლინიკის ბაზაზე არსებულ სასწავლო პრაქტიკულ ცენტრში პედაგოგად მუშაობის 6- წლიან სტაჟს.

2. ნიკოლოზ კიკნაველიძე - ასოცირებული პროფესორი. აკადემიურ თანამდებობაზე დანიშნულია რექტორის 2014 წლის 01 ივლისის №121/14 ბრძანებით. ასოცირებულ პროფესორად არჩევის ეტაპზე მისი პედაგოგიური გამოცდილება მოიცავდა შპს თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებელში მოწვეულ პედაგოგად მუშაობის 3- წლიან სტაჟს (2007 – 2009 წ.წ.). აღნიშნული სასწავლებელი წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას.

3. დავით ბერიკაშვილი - ასოცირებული პროფესორი. აკადემიურ თანამდებობაზე დანიშნულია რექტორის 2013 წლის 01 ივლისის №152/13 ბრძანებით. ასოცირებულ პროფესორად არჩევის დროისათვის პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდა, ხოლო მისი სამეცნიერო გამოცდილება მოიცავდა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში მეცნიერ-თანამშრომლის პოზიციაზე მუშაობის 10- წლიან სტაჟს. (2003 – 2013 წ.წ.)

4. თამარ ტურაშვილი - ასოცირებული პროფესორი. აკადემიურ თანამდებობაზე დანიშნულია რექტორის 2014 წლის 01 ივლისის №121/14 ბრძანებით. ასოცირებულ პროფესორად არჩევის დროისათვის მისი პედაგოგიური გამოცდილება მოიცავდა 6 თვეს (4 თვე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში (01.10.2007 – 01.02.2008) და 2 თვეს გოეთეს სახელობის უნივერსიტეტში (15.10.2008 – 05.12.2008).

5. ირმა ბარბაქაძე - ასოცირებული პროფესორი. აკადემიურ თანამდებობაზე დანიშნულია რექტორის 2012 წლის 13 დეკემბრის №331/12 ბრძანებით. ასოცირებულ პროფესორად არჩევის მომენტისათვის მისი პედაგოგიური გამოცდილება სხვადასხვა უსდ-ში (თსუ და ევრაზიის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტი) მოიცავდა 2 წელს. ამასთან, ირმა ბარბაქაძე 1990-1996 წლებში მასწავლებლად მუშაობდა №1 საჯარო სკოლაში.

2.2 დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ შრომით ხელშეკრულებებში არ იყო მითითებული სამუშაოს დაწყების თარიღი, შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა და სამუშაო ადგილი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, დაწესებულების აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობიდან ექსპერტებს კითხვები მხოლოდ აღნიშნულ 5 პირთან ჰქონდათ, თუ ანალოგიური შენიშვნები ფიქსირდებოდა სხვა პირებთან მიმართებითაც. საბჭოს თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა, აღნიშნულ 5 პირზე დაფიქსირებული შენიშვნები ახდენდა თუ არა გავლენას ავტორიზაციის დებულებით გათვალისწინებულ აკადემიური პერსონალის სავალდებულო რაოდენობაზე. თამარ შუდრამ განმარტა, რომ მხოლოდ აღნიშნულ 5 პირთან მიმართებით იყო დაფიქსირებული შენიშვნები. ამასთან, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა დაწესებულების სახისა და პროგრამების რაოდენობის მიხედვით შეესაბამებოდა ავტორიზაციის დებულებით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, დაწესებულებას ვიზიტის პერიოდში ერიცხებოდა 4021 სტუდენტი, ხოლო დაწესებულების აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენდა 131-ს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება გააზრებულ იქნა როგორც ალტერნატივა, ანუ აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდებოდა ან პედაგოგიური ან სამეცნიერო სამუშაო გამოცდილების საფუძველზე. ამასთან, ზემოთ დასახელებულმა აკადემიურმა პერსონალმა თანამდებობები დაიკავა იმ დროსათვის მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით და ამ ეტაპზე თუ მათთანხელშეკრულებები გაუქმდებოდა, ეს ფაქტი აღნიშნულ პირებს შეეძლოთ გაესაჩივრებინათ სასამართლოში, რითაც ზიანი მიადგებოდა დაწესებულებას. წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი 5 პირიდან, ერთის მიმართ ტექნიკური შეცდომა იყო დაშვებული და რეალურად 4 პირის მიმართ უნდა გადაწყვეტილიყო საკითხი .

საბჭოს თავმჯდომარემ ირინა ხანთაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას წესდებით გათვალისწინებული „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის, მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევა და იყენებდა თუ არა მას პრაქტიკაში, კერძოდ, პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ აკადემიური თანამდებობის დაკავების შესაძლებლობას. თუ ასეთი შესაძლებლობა იყო გათვალისწინებული, აირჩია თუ არა უნივერსიტეტმა აკადემიურ თანამდებობებზე დასკვნაში აღნიშნული პირები მოცემული

ნორმის საფუძველზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ასეთი პრაქტიკა არ იყო დანერგილი დაწესებულებაში. ამის საპასუხოდ, ირინა ხანთაძემ განაცხადა, რომ მოცემულ შემთხვევაში დაწესებულების მოქმედება ეწინააღმდეგებოდა კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აქამდე არ არსებობდა ერთგვაროვანი პრაქტიკა სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების ცნების განმარტების, გამომდინარე აქედან, დაწესებულებამ თავად განმარტა ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 35-ე მუხლის ჩანაწერი და სამომავლოდ, თუ საბჭო ან ცენტრი ამ ცნებას განმარტავდა, დაწესებულება გაიზიარებდა და პრაქტიკაში გაითვალისწინებდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული 5 აკადემიური პერსონალიდან 2 აკმაყოფილებდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, ნიკოლოზ კიკნაველიძეს სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაგროვილი აქვს 2007-2009 წლებში, როცა აღნიშნულ პერიოდში უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამები უთანაბრდებოდა აკადემიურ პროგრამებს.

ასევე, დავით ბერიკაშვილის მონაცემები აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, ასოცირებულ პროფესორად არჩევის დროისათვის მას ჰქონდა 1 წლიანი პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება, ხოლო მისი სამეცნიერო გამოცდილება მოიცავდა 10-წლიან სტაჟს. ამ უკანასკნელთან მიმართებით, დაწესებულებას გაეპარა ტექნიკური შეცდომა და ამის გამო ვერ მოხერხდა ვიზიტის პერიოდში მისი პედაგოგიური გამოცდილების დადასტურება.

საბჭოს წევრებმა მიმართეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების საკითხთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად.

ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა ლაშა მარგიშვილმა სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის ცნებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მოცემულ საკითხზე ცენტრს რამდენჯერმე ჰქონდა ოფიციალური წერილი მიწერილი სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, თუ რას ითვალისწინებდა სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების ქონა.

ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მიზნებისთვის სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება იყო კუმულატიური და გულისხმობდა როგორც სამეცნიერო, აგრეთვე პედაგოგიური გამოცდილების ერთდროულად ფლობას. ამასთან, პირის მიერ აკადემიური თანამდებობის დაკავების შესაძლებლობა უნდა შეფასდეს მისი სასწავლო პროცესში და სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო - კვლევით მუშაობაში მონაწილეობის ხარისხის საფუძველზე.

ასევე ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ ვინაიდან მოცემული საკითხის რეგულირებას ითვალისწინებდა ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, აკადემიური საქმიანობის გამოცდილება გროვდებოდა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილ და მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის საფუძველზე. ამდენად, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილ და მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს წარმოადგენენ მხოლოდ ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც გასცემენ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ (სახელმწიფოს მიერ აღიარებულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებენ/ახორციელებდნენ: ავტორიზებული/ავტორიზებულად ჩათვლილი; ინსტიტუციური აკრედიტაციის მქონე/ინსტიტუციური აკრედიტაციის მქონედ ჩათვლილი; ლიცენზიის მქონე/ლიცენზიის მქონედ ჩათვლილი დაწესებულებები 2005-2006 სასწავლო წლის დაწყებამდე) დიპლომს და ახორციელებენ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. იმ ლიცენზირებულ დაწესებულებაში დაგროვებული

სამუშაო გამოცდილება, რომლის საგანმანათლებლო პროგრამებს არ აღიარებს სახელმწიფო, ავტორიზაციის მიზნებისათვის არ წარმოადგენს ,,სამეცნიერო - პედაგოგიურ გამოცდილებას''.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული მოსაზრება სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების ცნებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს საბჭოზე გაცხადებულ სამეცნიერო-პედაგოგიური სამუშაო გამოცდილების განმარტებას და სამომავლოდ ჩამოთვლილი კრიტერიუმების დაცვით შეარჩევს აკადემიურ პერსონალს, თუმცაღა ამ ეტაპზე დაწესებულებაში დასაქმებულ იმ პირებთან მიმართებით, რომელთა მიმართაც შენიშვნები გამოითქვა, ვერ შეწყვეტდა შრომით ურთიერთობას.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული საკითხი არ იყო საბჭოს სხდომაზე განსახილველი თემა და მისი მოწესრიგება მხოლოდ დაწესებულების კომპეტენციას მიეკუთვნებოდა, რომელმაც, თავის მხრივ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში უნდა მოაწესრიგოს განსახილველი საკითხები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვინაიდან აქამდე ოფიციალურად არ ყოფილა განმარტებული სამეცნიერო-პედაგოგიური სამუშაო გამოცდილების დეფინიცია და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის განმარტება აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ეხებოდა მხოლოდ კონკრეტულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, დაწესებულებამ სთხოვა საბჭოს წევრებს, უფლება მიეცათ მისთვის სამომავლოდ ეხელმძღვანელა ამ განმარტებით და ამ ეტაპზე თანამდებობები შეენარჩუნებინა ზემოთ ჩამოთვლილი პირებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ ირინა ხანთაძემ აღნიშნა, რომ შესაძლოა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 131 აკადემიური პერსონალიდანმხოლოდ 4 პირის მონაცემების დაწუნება, რომლთა რაოდენობაც გავლენას არ ახდენს აკადემიური პერსონალის საერთო სავალდებულო რაოდენობაზე, არ იყოს არსებითი ხასიათის შენიშვნა, თუმცაღა აღნიშნული საკითხი შესაძლოა იქცეს პრეცედენტად სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, ამიტომაც აუცილებელია, რომ საბჭომ იმსჯელოს მოცემულ შენიშვნაზე.

საბჭოს სხდომაზე 18:10 საათზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 18:20 საათზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 8000-ით განსაზღვრა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაადასტურეს, რომ დაწესებულებას 8000 სტუდენტისთვის შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა. თუმცა, აქვე აღნიშნეს, რომ დაწესებულების მხრიდან საჭირო გახდებოდა დამატებით მერხების შეძენა და სასწავლო საათების დამატება.

საბჭოს წევრი დავით აფრასიძე დაინტერესდა, რამდენი სტუდენტი ერიცხებოდაა ამჟამად დაწესებულებას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამ ეტაპზე დაწესებულებაში სწავლობდა 4400 სტუდენტი.

საბჭოს წევრი ნინო სოზაშვილი დაინტერესდა, ქ. ბათუმში არსებულ ფართზე ახორციელებდა თუ არა დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ქ. ბათუმში არსებულ ფართზე ამჟამად მხოლოდ 4 სტუდენტი სწავლობდა, რომლებიც სწავლის დამამთავრებელ ეტაპზე იყვნენ და მიმდინარე სემესტრის დასრულების შემდგომ ქ. ბათუმში არსებული ფართი სასწავლო მიზნებისათვის აღარ იქნებოდა გამოყენებული.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, თუ რატომ არის საქართველოს უნივერსიტეტიდან პირველკურსელ სტუდენტთა გადინების დიდი მაჩვენებელი და ამ საკითხთან დაკავშირებით, ხომ არ ჩაუტარებია დაწესებულებას შესაბამისი კვლევა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არაერთი კვლევა ჩატარდა პირველკურსელთა დიდი ოდენობით გადინებასთან დაკავშირებით, რომელთა საფუძველზეც გამოირკვა, რომ ეს ფაქტი განპირობებული იყო სწავლის მაღალი მოთხოვნითა და სწავლის გადასახადით. მან აქვე დასძინა, რომ სწავლის გადასახადი ამ ეტაპზე შემცირებულია და გაუტოლდა სახელმწიფო უნივერსიტეტებში სწავლის საფასურს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებმა იმსჯელეს დაწესებულების მიერ ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების საკითხზე და დაადგინეს, რომ ადამიანურ რესურსებთან მიმართებით დაფიქსირებული ხარვეზები იყო არსებითი ხასიათის. მიუხედავად ამისა, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაწესებულებას მიენიჭოს ავტორიზაცია და ეთხოვოს ცენტრის მონიტორინგის სამსახურს სხდომის ოქმის გამოქვეყნებიდან 2 კვირის ვადაში გადაამოწმოს, აღმოიფხვრა თუ არა ის შენიშვნები, რომლებიც დაფიქსირებული იყო დასკვნაში მოცემულ პირებთან მიმართებით. დაწესებულების წარმომადგენელი დაინტერესდა, გადამოწმდებოდა თუ არა უნივერსიტეტის მთლიანი ადამიანური რესურსის შესაბამისობა კანონმდებლობასთან, თუ ეს შეეხებოდა მხოლოდ დასკვნაში ასახული პირების კვალიფიკაციას. დაწესებულების წარმომადგენელი ასევე დაინტერესდა, როგორ განხორციელდებოდა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი. ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა აღნიშნა, რომ ცენტრის მონიტორინგის სამსახური ადამიანურ რესურსთან მიმართებით გადაამოწმებდა დასკვნაში მოცემული შენიშვნების გამოსწორების ფაქტს და ასევე, ცენტრი თავად შეარჩევდა მონიტორინგის განხორციელების ფორმატსა და მეთოდს. საბჭოს თავმჯდომარემ აქვე დასძინა, რომ საბჭო არ აძლევს მითითებას დაწესებულების წრამომადგენლებს, თუ რა ფორმით უნდა მოწესრიგდეს საკითხი , მთავარია, რომ იგი მოწესრიგდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა გააკეთა განმარტება, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის-განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს 2009 წლის 30 დეკემბრის №128/ს გადაწყვეტილებით, შპს საქართველოს უნივერსიტეტს მიენიჭა ინსტიტუციური აკრედიტაცია 5 წლის ვადით. შესაბამისად, თუკი, დაწესებულებას მიენიჭებოდა ავტორიზაცია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდოდა აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ, ანუ 2014 წლის 30 დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 8000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 4
წინააღმდეგი- 2

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს: ლიკა ქათამაძემ და თამარ ზაალიშვილმა.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი სმე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით

დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ემუხლის შესაბამისად, საქართველოს უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 205037137) 2014 წლის 30 დეკემბრიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 8000-ით.

4. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელმა, თამთა კობახიძემ. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა სამივე სტანდარტი, რომლებიც შესაბამისობაში იყო ავტორიზაციის სტანდარტებთან. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის პერიოდში ინდივიდუალური ინტერვიუ ჩაატარა როგორც აკადემიურ პერსონალთან და ადმინისტრაციასთან, ასევე სტუდენტებთან. მან აქვე განმარტა, რომ დასკვნაში დაფიქსირდა შემდეგი სახის უზუსტობები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 საბაკალავრო და ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლება ეძლეოდა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც გაივლიდა ერთიან ეროვნულ გამოცდებს და მიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვებდა სწავლის უფლებას უნივერსიტეტში შესაბამის პროგრამაზე ან „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლით განსაზღვრულ პირებს, თუმცა გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით უკეთესი იქნებოდა ამ უკანასკნელი ჩანაწერის განვრცობა, სადაც დაზუსტდებოდა ინფორმაცია ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვის შესახებ. შესაბამისად, სასურველი იყო ჩანაწერი ფორმულირებულიყო „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. კერძოდ: აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

1.2 დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არ განსაზღვრავდა ინგლისური ენის ცოდნის დონესა და ზოგადად მისი ფლობის ვალდებულებას, თუმცა ადმინისტრაცია განმარტავდა, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მათ უცხო ენაში მინიმალური კომპეტენციის ზღვრად მითითებული ჰქონდათ 40%. რაც შეეხება ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სწავლის შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ინგლისურენოვან პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, ადმინისტრაცია

განმარტავდა, რომ ტარდებოდა ტესტირება (რაც ვიზიტის პირველ დღეს დოკუმენტალურად ვერ დადასტურდა, თუმცა ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილ იქნა ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" ცვლილებებით, სადაც VII პუნქტში, უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვის საკითხს დაემატა ჩანაწერი: ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირების უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა იქნებოდა შესაბამის უცხო ენაში ტესტირების გავლა, ტესტირების წარმატებით გავლის შემთხვევაში, სტუდენტი ერთვებოდა სასწავლო პროცესში".

თუმცა, გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით სასურველი იყო ინგლისურენოვანი პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში გაკეთებულიყო დამატებითი ჩანაწერი, რომელიც გაზრდიდა პროგრამაზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირების მიღების უზრუნველყოფას.

1.3 სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის უფლება ჰქონდა ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარებისა და სპეციალობაში გასაუბრების გავლის შემდეგ. აგრეთვე ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 52[1]-ე მუხლით განსაზღვრულ პირებს. სასურველია, ბოლო ჩანაწერის დაზუსტება, ხოლო მიღების პირობებში განსაზღვრულიყო უცხო ენის ფლობის დონე, ვინაიდან სამაგისტრო პროგრამების სტრუქტურა არ მოიცავდა უცხო ენის სასწავლო კურსებს, ხოლო პროგრამის სწავლის შედეგებში კი ეწერა - ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა - კომუნიკაციის უნარი: „კურსდამთავრებული შეძლებს ჯანდაცვის მენეჯმენტზე დასკვნებსა და არგუმენტებზე დაყრდნობით ეფექტიან კომუნიკაციას აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე"; ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამა - კომუნიკაციის უნარი: კურსდამთავრებული შეძლებს: „სხვადასხვა სიტუაციებში და განსხვავებულ საკითხებზე განახორციელოს წერილობითი და არგუმენტირებული ზეპირი კომუნიკაცია აკადემიურ, პროფესიულ საზოგადოებაში, ასევე არასპეციალისტებთან ქართულ და უცხოურ ენებზე"

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვიზიტის შემდგომ გაითვალისწინეს ექსპერტთა რეკომენდაციები და პროგრამაში დაკონკრეტდა მიღების წინაპირობა, კერძოდ, განისაზღვრა ინგლისური ენის ცოდნის დონე. მან აღნიშნა, რომ ორივე პროგრამას დაემატა ინგლისური ენის სასწავლო კურსი.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 დაწესებულების დებულების თანახმად, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების დაცვა ევალებოდა დაცვის სამსახურს, თუმცა ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქცია ცალკე დოკუმენტში გაწერილი არ დაფიქსირდა.

მატერიალურ რესურსთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვიზიტის შემდგომ შემუშავდა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმებიდა აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა საბჭოზე.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის მენეჯმენტის დეპარტამენტის სრული პროფესორი მაია ლომსაძე-კუჭავა ასწავლიდა საგანს „სამედიცინო ტექნოლოგიები", რომელიც ძირითადად სხვადასხვა სკოლის სამედიცინო ტექნოლოგიების ისტორიასა და განვითარების თავისებურებებს ეხება. მაია ლომსაძე-კუჭავას ჰქონდა ეკონომისტის კვალიფიკაცია (სპეციალობა-შრომის ეკონომიკა), ასევე, ბიოლოგის კვალიფიკაცია (სპეციალობა-მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია) და ჰქონდა მენეჯმენტის დოქტორის აკადემიური ხარისხი (2012). ამდენად, მისი საკმაოდ მაღალი კვალიფიკაცია სხვა სფეროში დასტურდება, თუმცა, მაია ლომსაძე-კუჭავა 2008 წლიდან ასწავლის ამ საგანს და 2009 წელს ამ მიმართულებით სახელმძღვანელოც კი აქვს გამოცემული.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „სამედიცინო ტექნოლოგიების“ სასწავლო კურსი შეთავაზებული იყო ჯანდაცვის მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის. ვიზიტის შემდეგ აღნიშნული კურსი ამოღებულ იქნა სასწავლო პროგრამიდან.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა საკითხებს მოიცავდა აღნიშნული სასწავლო კურსი და რა კვალიფიკაციის მქონე პიროვნებას უნდა წაეკითხა იგი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „სამედიცინო ტექნოლოგიების“ სასწავლო კურსი მოიცავდა ისეთ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებული იყო სამედიცინო ტექნოლოგიების განვითარების ისტორიასთან და მას ხელმძღვანელობდა პირი, რომელსაც ჰქონდა ეკონომისტის კვალიფიკაცია (შრომის ეკონომიკა), ასევე ბიოლოგის კვალიფიკაცია (მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია) და მენეჯმენტის დოქტორის აკადემიური ხარისხი. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებამ აღნიშნული კურსი სასწავლო პროგრამიდან ამოიღო.

საბჭოს წევრი თამარ ზაალიშვილი დაინტერესდა, რატომ ითხოვდა დაწესებულების ვებგვერდი პაროლს, როდესაც დაინტერესებულ პირს სურდა გასცნობოდა მის აკადემიურ პერსონალს.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ ბაზარზე არსებული კონკურენცია დაწესებულებას აიძულებს მიმართოს თავდაცვით ღონისძიებებს, ამიტომ აკადემიური პერსონალის სია ხელმისაწვდომია პაროლის შეყვანის შემთხვევაში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენი სტუდენტი ჰყავდა დაწესებულებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საერთო ჯამში სასწავლო უნივერსიტეტში 546 სტუდენტი სწავლობდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დაამატა, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში დაწესებულების სურვილი იყო სტუდენტთა ადგილების ზღვრული ოდენობა განსაზღვრულიყო 900 სტუდენტით.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელს, შეეძლო თუ არა დაედასტურებინა პროგრამულ ნაწილში დაფიქსირებული უზუსტობების გასწორების ფაქტი, რაზეც თამთა კობახიძემ აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იყო სასწავლო პროცესის მარგულირებელი დოკუმენტი, რომლის მე-7 პუნქტს, სადაც გაწერილი იყო უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვის წესი, დაემატა ჩანაწერი. აღნიშნული ჩანაწერის თანახმად, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირებისათვის უცხოენოვან საგანამანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად დგინდებოდა შესაბამის უცხო ენაში ტესტირების გავლა, რომლის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში, პირი ჩაერთვებოდა სასწავლო პროცესში. თამთა კობახიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული დაფიქსირებული იყო დასკვნაშიც.

საბჭოს წევრი თამარ ზაალიშვილი დაინტერესდა სტუდენტთა რომელ სეგმენტზე აპირებდა დაწესებულება მუშაობას.

სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა განაცხადა, რომ დაწესებულებას სურდა ემუშავა უცხოელი სტუდენტების მოზიდვაზე. მან ასევე დაამატა, რომ საქართველოს მოქალაქეებისათვის სწავლის საფასური 3000 ლარს, ხოლო უცხოელებისათვის 3500 დოლარს წარმოადგენდა.

ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელმა თამთა კობახიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსი იძლეოდა 900 სტუდენტისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნის შესაძლებლობას.

ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა გააკეთა განმარტება, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის-განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს 2009 წლის 17 დეკემბრის №109/ს გადაწყვეტილებით, შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედს მიენიჭა ინსტიტუციური

აკრედიტაცია 5 წლის ვადით. შესაბამისად, თუკი, დაწესებულებას მიენიჭებოდა ავტორიზაცია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდოდა აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ, ანუ 2014 წლის 17 დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭსყრაზე დააყენა შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 900-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204909858) 2014 წლის 17 დეკემბრიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 900-ით.

5. შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭოს წინაშე ექსპერტთა დასკვნა წარადგინა ექსპერტმა კახაბერ ერაძემ. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას გადამოწმდა სამივე სტანდარტი და დასკვნაში ხარვეზები არ იყო დაფიქსირებული. ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ დაწესებულება ახორციელებდა 5 საბაკალავრო და 2 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას. კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა ადაპტირებული გარემო არა მხოლოდ ეტლით მოსარგებლე, არამედ უსინათლო სტუდენტთათვის. ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულებაში დაცული იყო სტუდენტთა და პერსონალის უსაფრთხოება და სტუდენტებს შეეძლოთ დამატებითი სერვისებით სარგებლობა. ადამიანურ რესურსთან მიმართებით დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტს. დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იყო საინფორმაციო და საკომუნიკაციო რესურსებზე სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის ხელმისაწვდომობა.

საბჭოს წევრმა დავით აფრასიძემ აღნიშნა, რომ თავადაც სიამოვნებით გაეცნობოდა დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამებს, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს.

საბჭოს წევრი თამარ ზაალიშვილი დაინტერესდა მსგავსი რესურსის მქონე დაწესებულება რატომ არ იზიდავდა უფრო მეტ სტუდენტს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ორგანიზაცია ორიენტირებული არ იყო თვითრეკლამირებაზე და მის მთავარ მიზანს წარმოადგენდა მოქმედი სტუდენტების ინტერესებისა და უფლებების დაცვა. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დაწესებულებაში სწავლობდა ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი, რომელსაც მხედველობის პრობლემა ჰქონდა და დაწესებულებამ უზრუნველყო მთლიანი საბაკალავრო პროგრამის ბრაილის შრიფტზე გადატანა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რამ განაპირობა პროგრამების ასეთი მრავალფეროვნება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი თავდაპირველად თეოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა, ხოლო ბაზრის შემდგომმა მოთხოვნებმა განაპირობა არსებული პროგრამების განხორციელების აუცილებლობა.

საბჭოს წევრი დავით აფრასიძე დაინტერესდა, რამდენი იყო დაწესებულებაში სწავლის საფასური. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის საფასური იყო 1900 ლარი, ხოლო ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე - 2200 ლარი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში დაწესებულებას სურდა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულიყო 1500 სტუდენტით. მან აღნიშნა, რომ ამჟამად მიმდინარეობდა ახალ

პროგრამებზე მუშაობა, იგეგმებოდა მათი აკრედიტაცია და, შესაბამისად, დაწესებულება შეძლებდა სტუდენტთა აღნიშნული რაოდენობის მიღებას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას სამომავლო სტრატეგია - რა პერიოდში შეძლებდა 1500 სტუდენტის მოზიდვას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული მოხდებოდა 3-4 წლის განმავლობაში.

საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა ექსპერტს, შეძლებდა თუ არა დაწესებულება 1500 სტუდენტისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ სასწავლო უნივერსიტეტი აკმაყოფილებდა სამივე სტანდარტს და თავისუფლად შეძლებდა სტუდენტთა აღნიშნული რაოდენობისათვის სრულფასოვანი მომსახურების გაწევას.

ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა გააკეთა განმარტება, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის-განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს 2009 წლის 24 დეკემბრის №120/ს გადაწყვეტილებით, შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭა ინსტიტუციური აკრედიტაცია 5 წლის ვადით. შესაბამისად, თუკი, დაწესებულებას მიენიჭებოდა ავტორიზაცია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდოდა აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ, ანუ 2014 წლის 24 დეკემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანამანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204426834) 2014 წლის 24 დეკემბრიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1500-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 19:35 საათზე, სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირინა ხანთაძე

მდივანი
ლიკა ქათამაძე